პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 13 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

207 (905)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## შვებულო, იზრუნე ქოხ-სამკითხველოზე.

უვიცობა, უკულტურობა, სიბნელე—აი სოფლის აღორძინების მტრები. სოფელი ვერ გააუმჯობესებს თავის მეურნეობას, ვერ მიაღწევს სოციალიზმს სანამ ის კულტურულად ჩამორჩენილი იქნება. ცოდნის გარეშე—სოფლის წინმსვლელობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მთელი ყურადღება მიპყრობილია სოფლად კულტურულ განმანათლებელ მუშაობის გაღრმავებისაკენ.

სკოლა, კლუბი, ქოხ-სამკითხველო, კედლის გაზეთები და სხვა—აი ცოდნის და კულტურის წყაროები სოფლად, რომლების მუშაობის გაფართოებას ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი.

სოფლის კულტურულ აღორძინებაზე აგრეთვე უნდა იზრუნოს შვებულმა—წითელ არმიელმაც. განსაკუთრებით ბევრის გაკეთება მას შეუძლია ქოხ-სამკითხველოს მოწყობის საქმეში. ისე როგორც მის ნაწილში ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო წითელ არმიელების საყვარელი ადგილი, ასევე საყვარელ და მიმზიდველ ადგილად სოფელში გლეხებისათვის უნდა შეიქმნეს ქოხ-სამკითხველო. უნდა აღინიშნოს, რომ მეტ ნაწილად ქოხ-სამკითხველოები სოფელში ცუდათ არიან მოწყობილი ან სრულიადაც არ არსებობენ.

სახლში დაბრუნებისას შვებულმა მყისვე უნდა გაეცნოს თავისი სოფლის ქოხ-სამკითხველოს მდგომარეობას და უნდა ითავოს მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება. უნდა გამონახოს საჭირო თანხა გაზეთების გამოსაწერად, წიგნებისა და პლაკატების შესაძენათ.

ქოხ-სამკითხველოს საშუალებით შვებულმა უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება ფართედ გაავრცელოს წიგნი გლეხებში. აგრეთვე ქოხ-სამკითხველოში უნდა მოაწყოს სამხედრო კუთხე.

ქოხ-სამკითხველოსთან უნდა გამოუშვას კედლის გაზეთიც, რომლის თანამშრომლობაში უნდა—მიიზიდოს გლეხების ფართე მასა.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება კომპარტიის ცეკას დადგენილება საბიბლიოთეკო მუშაობის გაძლიერების შესახებ სოფელში.

შვებული უნდა გახდეს ამ დადგენილების ერთ ერთი აქტიური გამტარებელთაგანი.

შვებულო, მუდამ იზრუნე სოფლის ქოხ-სამკითხველოზე! დაუახლოვე წიგნი გლეხებს!

## იმპერიალიზმის ახალი ტაქტიკა ჩინეთში.

მშრომელი მასების მღელვარება ჩინეთში კვლავ გრძელდება. ინგლისის იმპერიალიზმის ცდა დაემარცხებია ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში და უპირველეს ყოვლისა ამ მოძრაობის ცენტრი—კანტონი უნაყოფოდ დამთავრდა. შეიქნა ისეთი მდგომარეობა რომ ვერც რევოლიუცია სძლევს და ვერც რეაქცია. პირდაპირ დაკვრამ უცხოელ იმპერიალისტებს იმედი არ გაუმართლა. უშუალო შეტევით მათ ვერაფერი ვერ გაიტანეს. ამიტომაც შესცვალეს მოქმედების გეზი და სხვა გზით სცდილობენ რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობას და ურჩი ჩინეთისათვის ლაგამის ამოდება.

როგორია იმპერიალისტების ახალი ტაქტიკა? მათ უნდათ თავი მოაჩვენონ ჩინელებს, რომ თითქოს დათმობაზე მიდიან. ამ მიზნით განზრახულია საბაჟო კონფერენციის მოწვევა.

საბაჟო საკითხი დიდი საჭირბოროტო საკითხია ჩინეთისათვის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთის საზღვრებში მიმავალ უცხოელ საქონელზე ძლიერ პატარა ბაჟებია დადებული, რაც ხელს უშლის ჩინეთის მრეწველობის ზრდას.

ამ პატარა ბაჟის წყალობით უცხოეთის საქონელი ადვილად იმარჯვებს ჩინეთის ბაზარზე და იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას. სხვა ქვეყნებში კი ასე არ არის. მაგალითად ინგლისს თავის შინა ბაზარი აქვს დაცული დიდი ბაჟებით, მაგალითად თუ გერმანიის საქონელი მოდის ინგლისში, ინგლისის მთავრობა ადებს 40 პროც. და ხან მეტსაც გერმანიის საქონელზე. რასაკვირველია ასეთ პირობებში გერმანიის საქონელი ვერ გაუწევს მეტოქეობას ინგლისის ბაზარზე ინგლისის საქონელს.

ასე არ არის ჩინეთში. იქ უცხოეთის საქონელზე დაწესებულია მხოლოდ 5 პროც. ბაჟი, რაც იმდენათ უმნიშვნელოა რომ მას არავითარი დახმარება არ შეუძლია გაუწიოს ჩინეთის საქონელს უცხოეთის საქონელთან მეტოქეობაში.

აქვე აღსანიშნავია რომ დიდი ბაჟები აგრეთვე დიდ შემოსავალს აძლევენ სახელმწიფოს. იციან რა, რომ ჩინეთისათვის საბაჟო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმპერიალისტები დათანხმდენ საბაჟო კონფერენციის მოწვევაზე, სადაც საბაჟო საკითხი თითქოს გადაჭრილი იქნება ჩინეთის სასარგებლოთ.

უნდა ითქვას რომ ეს მხოლოდ იმპერიალისტების ხრიკია და მეტი არაფერი. ნამდვილად ამ კონფერენციაზე ბაჟების რაოდენობას გაადიდებენ მხოლოდ რამოდენიმე პროც. ვსთქვათ 2 პროც. ან 3 პროც., რითაც უცხოელი მტაცებლები მოიგებენ ჩინეთის ბურჟუაზიის გულს, რომელიც დღეს კიდევ მიეჩანჩალება ეროვნულ მოძრაობის კუდში. ამრიგად ჩვენ ვხედავთ რომ ხსენებული საბაჟო კონფერენციის მიზანია ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ძალების გათიშვა და შემდეგ ამ დაქსაქსულ ძალების ადვილად დამარცხება. ამ კონფერენციის საზიზღარი როლი თავიდანვე შეიგნო საბჭოთა კავშირმა და უარი სთქვა მასზე მონაწილეობის მიღებისა. კონფერენციის წინააღმდეგ აგრეთვე გაილაშქრა ჩინეთის ინტელიგენციამ და მშრომელთა მასებმა.

უცხოელი იმპერიალიზმი ზურგიდან აპირებს მახვილი ჩასცეს ჩინეთის ხალხს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩინეთის რევოლიუციონური მშრომელი მასა მას ამის საშუალებას არ მისცემს და დროზე აიცილებს თავიდან მოქნეულ მახვილს.

—ძ.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია ამხ. ტროცკისთან.

12 სექტემბერს, ინგლისის საპარლამენტო დელეგაციამ ინახულა ამხ. ტროცკი. დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი მოსული არიან, რათა შეიარაღდენ ფაქტებით და არგუმენტებით ინგლისის მრეწველობის და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მჭიდრო თანამშრომლობის სასარგებლოდ. ტროცკიმ განაცხადა: „ჩვენ თითქმის სავსებით გამოვიყენეთ ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა და შეუდგით ახალ ფართო მშენებლობას, რომელიც უთუოთ გამოიწვევს უცხო კაპიტალის დენას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინგლისის კაპიტალის წილი ამ საქმეში თანდათან დაიკლებს. ამის ერთ-ერთ მიზეზად უთუოთ უნდა ჩაითვალოს ინგლისის მრეწველების კონსერვატიზმი, რომლებსაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ რუსეთში შექმნილ ახალ პირობებს.

მეორე მიზეზია ინგლისის მთავრობის თითქოს განზრახი ცდები აიძულოს საბჭოთა მეურნეები იქონიონ საქმიანი კავშირი ყველასთან, გარდა ინგლისისა. უახლოეს წლებში ჩვენ შევიქნებით უდიდეს ბაზრად.

სწორედ ეხლა აქვთ დრო ჩვენს კონტრაგენტებს გაიმაგრონ თავიანთი პოზიციები.“

## ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი.

ამხ. ტომსკის გამოსვლა.

11 სექტემბერს, ინგლისის პროფკავშირთა სხდომაზე, საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით ტომსკიმ გადასცა კონგრეს სალამი და განაცხადა, რომ უდიდესი მოვლენად უნდა ჩაითვალოს ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. ამ სტუმრობას ორი დიდი მნიშვნელობა ქონდა, ერთიის რომმთელ ქვეყანას ემცნო სიმართლე. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შესახებ, და მეორე, მათი სტუმრობის შედეგია ინგლის-რუსეთის პროფკავშირთა კონფერენცია, რომელმაც გვიჩვენა თუ მუშებს სურთ ისინი გამონახავენ საერთო ენას.

შეუერთდა რა ბრაუნის განცხადებას, ტომსკიმ ხაზი გაუსვა დოუესის გეგმის კატასტროფიულ შედეგებს ჩინეთისა და კოლონიალურ ქვეყნებისათვის.

დიდი შთაბეჭდილებ მოახდინა ტომსკის განცხადებამ: „1925 წ., მეოცე საუკუნის ერთი მეოთხედის მიწურულში განათლებულ კაპიტალისტების იდეალათ ჩინეთში არის მუშების ფიზიკურად დასჯა“.

კონგრესი დიდის ოვაციით შეხვდა ტომსკის შემდეგ განცხადებას: „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წერითი მეთოდი ერთმანეთს შორის 3.000 კილომეტრის სიშორეზე არ არის ხელსაყრელი საშუალება მთლიანობის შესაქმნელად“.

შემდეგ ტომსკიმ განაცხადა ამსტერდამის სურვილი საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა დელეგაციასთან შეხვედრის შესახებ წინასწარ პირობების გარეშე.

ტომსკიმ ხაზი გაუსვა და სთქვა საკითხი იმაში კი არ არის, რომ საბჭ. კავშირის პროფკავშ. შევიდეს ამსტერდამის ინტერნაციონალში, არამედ შეიქნეს ერთი მთლიანი ინტერნაციონალი.

„გაუმარჯოს ინგლისის პროფკავშირებს, გაუმარჯოს მთლიან მთელი ქვეყნის პროფკავშირთა ინტერნაციონალს“—დაიბოლავა თავისი სიტყვა ტომსკიმ.

## ამხ. ლანცუცკის 3 წლის კატორღა მიუსაჯეს.

10 სექტემბერს ქ. ლოძში (პოლონეთში) დაიწყო ამხ. ლანცუცკის გასამართლება. მას ბრალი ედება მასში, რომ მან პოლონეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე. ლანცუცკის იცავენ ვექილები დურახ, ლანდაუ და ბრეიტერი.

თავმჯდომარის შეკითხვაზე სცნობს თუ არა ის თავის თავს დანაშაულად, ლანცუცკიმ დაწვრილებით განუმარტა საქმის ვითარება სასამართლოს და აღნიშნა ის განსაკუთრებული ცუდი მოპყრობა რომელიც გამოიჩინა მის მიმართ ხელისუფლებამ.

შემდეგ სასამართლო გადავიდა მოწმეების დაკითხვაზე, რომლებიც მეტის მეტად იბნეოდენ თავის ჩვენებებში.

სახელმწიფო ბრალმდებელმა თავის გძელ სიტყვაში შეეცადა დაემტკიცებია ამხ. ლანცუცკის დანაშაულობა და მოითხოვა მისი დასჯა სამი წლით კატორღით.

დამცველი ბრეიტერი ამტკიცებს, რომ ლანცუცკის გამოსვლა მიტინგზე იყო დეპუტატის ვალდებულების შესრულება და რომ ასეთი გამოსვლისათვის დასჯა კონსტიტუციით ყოვლად შეუძლებელია, მიუხედავათ სიტყვის შინაარსისა. დამცველმა მოითხოვა ლანცუცკის განთავისუფლება. ბრალმდებლის ყველა დებულებები აგრეთვე სრულიად დაარღვიეს დანარჩენ სამმა დამცველებმაც.



მხარეების კამათის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა მიეცა ლანცუცკის, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ხელმეორედ ასამართლებენ. პირველად ის გაასამართლეს პერემიშლში, სადაც მიუხედავათ იმისა რომ უფრო მძიმე ბრალდებები ქონდა წაყენებული და აგრეთვე დიდი სურვილი ქონდათ ჩირქი მოეცხოთ მისთვის, ის გამართლებულ იქმნა. „ყველამ კარგად იცის, რომ მისი სიტყვა მიტინგზე კაბიანიცაში თეთრი ტერორის შესახებ პოლონეთში სრული სიმართლეა, ვინაიდან აი აქ ამ დარბაზში გამოქონდათ 4 წლის კატორღის განაჩენი არჩევნებში მონაწილეობისათვის.“

სათათბირო ბჭობის შემდეგ ამხ. ლანცუცკის სასამართლომ 3 წლის კატორღა გადაუწყვიტა.

## საბიბლიოთეკო აღმშენებლობა სოფლად.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკა დიდ მნიშვნელობას აძლევს სოფლად საბიბლიოთეკო აღმშენებლობის საქმეს და ამიტომ მან აუცილებლად სცნო ყოველ გვარი ზომები მიიღოს, რათა სოფლებში დაარსებული იქნეს საგლეხო ბიბლიოთეკები და მოძრავი-ბიბლიოთეკები. საჭიროდ იქნა ცნობილი უკვე არსებულ საბიბლიოთეკო ქსელის გაძლიერება და გაფართოება, ახალ ბიბლიოთეკართა კადრის მომზადებით და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. ამასთანავე დადგენილების ძალით უნდა მოხდეს სოფლის ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა ფართო გლეხური მასებისათვის საჭირო ინვენტარით.

ცეკამ აუცილებლად სცნო დააწესოს ბიბლიოთეკების განუწყვეტლად ახალი ლიტერატურით შევსება და ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათთვის ისეთი ლიტერატურის მიწოდებას, რომელსაც ექნება საცნობო ხასიათი.

ცეკამ აუცილებლად სცნო გადიდებული იქნეს სოფლის ბიბლიოთეკარების ჯამაგირი, სოფლის მასწავლებლის ჯამაგირის რაოდენობამდე.

აღნიშნა რა გლეხური ლიტერატურის რიცხობრივი და ზოგიერთ შემთხვევებში ხარისხობრივი ზრდაც, ცეკამ დაადგინა 1926 წლის პირველ ნახევარში იზრუნოს გლეხური ლიტერატურის გამოშვებისათვის, სასოფლო—სამეურნეო, საბჭოთა კანონმდებლობისა და მეცნიერულ — პოპულიარული ხასიათის საკითხებიდან.

## ომი მაროკოში.

### სერიოზულ ოპერაციების წინ.

ჰავასის ცნობით 11 სექტემბერს დაიწყებოდა სერიოზული ოპერაციები ძლიერ საარტილერიო ცეცხლის და მრავალ რიცხოვან საჰაერო ძალების დახმარებით.

ესპანეთის დიკტატორი პრიმოდერივიერა მივიდა ქ. ტეტუანში.

### სერბიის გლეხთა კავშირის ყრილობა.

აგვისტოს უკანასკნელ რიცხვში, ბელგრადში შემდგარ სერბიის გლეხთა კავშირის ყრილობამ უარყო წინადადება რადიჩის პარტიასთან შეერთების შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ არც ერთ სამხრეთ-სლავიის და არც მთავრობას არ დაუცავს გლეხობა. რადიჩის და პაშიჩის მთავრობამ მხოლოდ გააძლიერა რეაქცია.

ორშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება 1925—26 წლის ბიუჯეტის განაწილების პროექტის და საგადასახადო გამოსაღებათ გეგმის შესახებ,

2) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## ცვალებად წითელ-არმიელების მიერ სამხედრო ფორმის ტარების შესახებ.

რევსაბჭოს ბრძანების თანახმად ნებადართულია, რომ ცვალებადელებმა ატარონ სამხედრო ფორმა შეკრებათა შორის, ამ ბრძანებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ფართო მასის გასამხედროების საქმეში.

მე ამით არ მინდა ის ვთქვა, რომ ადამიანის გასამხედროება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ტანსაცმელი ,აცვია სრულიადაც არა. არის აუარებელი შეკითხვები ცვალებად წითელ-არმიელებიდან იმის შესახებ რომ აქვსთ თუ არა მათ სამხედრო ფორმის ტარების უფლება, როდესაც ის ეწევა თავის შრომას და სახლში არის.

ეს შეკითხვები ადასტურებენ, რომ ჩვენი ცვალებადლები დაინტერესებული არიან სამხედრო საქმით და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ის ცვალებადი წითელ-არმიელი, რომელიც დაინტერესებულია სამხედრო საქმით უსათუოთ ამ ინტერეს არ დამალავს თავისივე გულში, არამედ გადაიტანს ფართო მშრომელთა მასაში და სწორეთ ამიტომ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას ცვალებადელთა მირ სამხედრო ფორმის ტარებას. მეორე მხრივ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმხრივ, რომ ცვალებადელი, რომელიც დადის სამხედრო ფორმაში, ეს მას ავალდებულებს უფრო შეგნებულათ და ერთგულათ მოეპყრას სამხედრო საქმეს, ნაწილთან კავშირის დაჭერას, გლეხობაში და საერთო საზოგადოებრივ მუშაობაში სამაგალითო მუშაობის წარმოებას. ამისათვის ნაწილის უფპოლიტშემადგენლობამ ყოველივე ღონისძიება უნდა იხმარონ და დაეხმარონ იმ წითელ არმიელებს (ცვალებ), რომლებსაც სურთ შეკრების შემდეგ სამხედრო ფორმაში ყოფნა, მხოლოთ ერთი პირობა კი აუცილებლად დაცული უნდა იქმნეს ცვალებადელების მხრივ ცვალებადელი, რომელიც იქნება სამხედრო ფორმაში ჩაცმული უნდა იყოს სამაგალითო თითით საჩვენებელი გლეხობაში თავის თავდაჭერილობით და პატიოსნობით სამხედრო ტანსაცმელის ტარების ყოველივე წესი უსათუოთ დაცული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ უარყოფით შედეგებს.

ნაწილის ხელმძღვანელებს მართებთ ეხლავე შეუდგენ ამ საკითხის გაშუქებას და აწარმოონ სათანადო საუბრები ცვალებადთა შორის, თუ როგორ თავდაჭერილათ უნდა იყოს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას სამხედრო ფორმა აცვია, როგორ შეუძლია მას შეინახოს ის და სხვა.

საქმე იმაშია, რომ სამხედრო ტანსაცმელის შეძენა არც ისე ძნელია ტანსაცმელის ყიდვა სულ ერთია ამხანაგებს სჭირდება და სწორეთ ისე შეარჩიოს, რომ ტანსაცმელს, რომელსაც ის ყიდულობს ქონდეს მას სამხედრო ტანსაცმელის სახე, როგორც ფერით, ისე შეკერვით და აგრეთვე სამხედრო ნიშნის დაკერებით, რომელიც ძალიან იაფი ღირს.

თუ ყოველივე ზემოჩამოთვლილი პირობები იქნება დაცული მაშინ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ ცვალებადელებს აუკრძალოთ სამხედრო ფორმით სიარული, პირიქით ჩვენი ვალია ამას ყოველ მხრივ შეუწყოთ ხელი.

ნ. ბლუაშვილი.

## შეღავათები ჯარში გასაწვევთ.

### შეღავათები ოჯახური პირობების გამო.

1903 წელში დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში მომავალ გაწვევის შესახებ საკავშირო ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა, გასაწვევთათვის ოჯახური ან ნივთიერი მდგომარეობისა გამო შეღავათების მისანიჭებლათ.

### ვინ ღებულობს შეღავათს.

შეღავათები წესდება იმის კვალობაზე, არის თუ არა ოჯახში მუშა ხელი:

1. პირველი ხარისხის შეღავათი ეძლევა იმ ახალწვეულს, რომელსაც ოჯახში ყავს სამი ან მეტი შესანახი, შრომის უნარ მოკლებული, ოჯახის წევრი.

2. თუ შრომის უნარ მოკლებულთა, რიცხვი ოჯახში 3-ზე ნაკლებია ეძლევათ მეორე ხარისხის შეღავათი.

3. მესამე ხარისხის შეღავათი ენიჭებათ, მაშინ როდესაც ოჯახში არის არა ნაკლებ 3 შრომის უნარმოკლებული წევრისა და 2 შრომისუნარიანისა, გასაწვევის ჩათვლით.

გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შრომის უნარმოკლებული ოჯახის წევრები რჩებიან ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებულნი, გამწვევ კომისიებს ეძლევათ უფლება შეუცვალონ ჯარში გასაწვევს საკადრო სამსახური—ჯარის გარეშე სამხედრო სწავლებით.

ის მოქალაქენი, რომელნიც ღებულობენ 1-ლი ხარისხის შეღავათებს, უსათუოდ თავისუფლდებიან საკადრო ნაწილებში სამსახურისაგან, სამხედრო სწავლების ვალდებულებით ან ცვალებად ტერიტორიალურ შემადგენლობაში ჩარიცხვით.

მეორე და მესამე ხარისხით შეღავათ მინიჭებულნი თავისუფლდებიან საკადრო ნაწილებში სამსახურიდან მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ წვეულთა რიცხვი ფარავს წითელი არმიის შესავსებ მოთხოვნილებას, იმ მოქალაქეებით, რომელთაც არა აქვთ შეღავათები.

### შეღავათებით ვერ ისარგებლებენ

1) ის პირნი, რომელთაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება.

2) ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი, მათი გადასახლების (გაძევების) დროს.

3) უმაღლეს სასწავლებლის, მუშფაკის და მეორე საფეხურის კურსდამთავრებულნი და სხვ., რომელნიც ჯარში უნდა იქნან ჩარიცხულნი უეჭველათ, თუ ისინი სავარგისათ იქნენ ცნობილნი.

### როგორ შეიძლება შეღავათის მიღება.

ყოველი წვეული ვალდებულია მისთვის მინიჭებული შეღავათით სარგებლობისათვის იგი მოვალეა:

1) გაატაროს საექიმო-საკონტროლო კომისიაში მისი ოჯახის შრომის უნარმოკლებული წევრები და მიიღოს კომისიიდან საჭირო მოწმობები.

2) შეიტანოს განცხადება მიიღებ კომისიაში არა უგვიანეს სექტემბრის თვისა, მისთვის შეღავათის მინიჭების შესახებ და წარადგინოს ცნობა მის მიერ სარჩენთა შესახებ.

გასული გაწვევის გამოცდილებით ვიცით, რომ წვეულებმა ყველგან ვერ ისარგებლეს თავიანთი უფლებებით და ამიტომ წელს საჭიროა წინდაწინვე დაიკავონ თიდარიგი.

## მე-2 ქართულ დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა სამოქალაქო ორგანიზაციათა შორის.

1924 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მოწვეულ იქნა, ქუთაისის გარნიზონის სამხედრო სამეცნიერო წრეების წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო: კომპარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის წარმომადგენელნი, სადაც იქნა არჩეული ქუთაისის გარნიზონის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობა.

გამგეობამ დაისახა მიზნათ ჩაება სამხედრო სამეცნიერო მუშაობაში მოქალაქენი, ამისათვის გამგეობის სხდომებზე კომპარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის წარმომადგენელთა თანდასწრებით იქნა გამომუშავებული მუშაობის მეთოდიკა.

აღნიშნულ თემებიდან სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გაკეთებული იქმნა მხოლოდ ერთი მოხსენება: „სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება და მშვიდობიანი მოქალაქეობა“.

2 ქართულ დივიზიამ აირჩია დივიზიის სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების საბჭო, უკანასკნელმა კი გამოყო 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. საბჭოს პირველ სხდომაზე იქნა დამუშავებული საორიენტაციო (?) გეგმა ნაწილების სამხედრო სამეცნიერო წრეებისათვის 1925 წელზე.

გეგმაში მცხოვრებთა შორის მუშაობაზე აღნიშნულია შემდეგი: ტერდივიზია სამხედრო სამეცნიერო მუშაობას ატარებს ორი მიმართულებით, ამისათვის ნაწილების სამხედრო სამეცნიერო წრეებმა უნდა ჩაატარონ მუშაობა ერთის მხრივ ძირედ და ცვალებად შემადგენლობასთან და მეორე—მოქალაქეთა შორის.

20 ივლისისათვის ნაწილებმა უნდა მოათავონ ორგანიზაციული მუშაობა.

მოქალაქეთა გასამხედროებას უნდა ქონდეს აგიტაციური ხასიათი პროპაგანდაზე თანდათანობით გადასვლით.

ვინაიდან მარტო აგიტაციით და პროპაგანდით არ შეიძლება ცოდნის აწევა, ჩაბმა და დაინტერესება მუშების და გლეხებისა, ამისათვის სამხედრო სამეცნიერო წრეებმა ადგილებზე უნდა მოაწყონ „სროლის წრეები“, რაც ხელს შეგვიწყობს მოქალაქეების სროლის საქმის მომზადებაში. ამისათვის საჭიროა:

ა) მოწყობილ იქნეს „სროლის წრეები“ პროფკავშირთა კლუბებში, გლეხის სახლებში და სამკითხველო—სახლებში სამხედრო სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობით:

ბ) სამხედრო სამეცნიერო წრეში უნდა იქნეს ჩათრეული: ცვალებადი შემადგენლობა, განს, დ. ნაწილების კომუნარები, კომკავშირელები, ფიზკულტურა და მონადირეთა კავშირი.

გ) სროლის დროს ცვალებადი შემადგენლობას ეძლევა იარაღი ნაწილიდან და დანარჩენებს ექნებათ თავისი.

დ) სასროლო მოედნები ეწყობა ნაწილების და აღმასკომის საშუალებით და თუ ეს მოუხერხებელია, მაშინ გამოყენებული იქნეს ნაწილის სასროლი ველი.

ე) სროლის გარდა „სროლის წრის“ წევრმა უნდა იცოდეს, აგრეთვე: შაშხანის დანიშნულება, მატერიალური ნაწილები, შაშხანის შეკრება, დაშლა, წმენდა, და მოვლა, აგრეთვე სასურველია რომ წევრებს ქონდეთ წარმოდგენა ხელით სასროლ ყუმბარებზე და ტყვიამფრქვევ „ლიუისზე“ ამისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სროლის გარდა კვირაში 2 საათი.

პროგრამა მეცადინეობის და გეგმა უნდა იქნეს შედგენილი ადგილზე ნორმალური გეგმის მიხედვით.

მ) წრეები არ უნდა იქნეს დიდი აუდიტორიის მატარებელი, ვინაიდან პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დიდი აუდიტორია უმეტეს შემთხვევაში უმოქმედოა, წრეში უნდა იქნეს არა უმეტეს 20—25 წევრისა.

ყოველ წრეს უნდა მიემაგროს ერთი ინსტრუქტორი-ხელმძღვანელი ნაწილის მეთაურთა რიცხვიდან ან ცვალებად მეთაურთა შემადგენლობიდან.

ზ) ინსტრუქტორი-ხელმძღვანელის მოვალეობა: აწარმოოს მეცადინეობა თავის წრეში და აღრიცხვა წევრების ცოდნის შეთვისებაზე,

ნ) „სროლის წრეებში“ საწევრო გადასახადი არ უნდა იქნეს, რომ არ დაშინდეს და გადაუდგეს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებას მუშები და გლეხები.

მცხოვრებთა შორის მოხსენებების ჩასატარებლად ნაჩვენებია შემდეგი თემები:

1) სამხედრო ცოდნა მშრომელი ხალხისათვის.

2) მომავალი ომები და ქიმიის როლი.

3) სამხედრო ტეხნიკის მიღწევანი.

4) ზუსტი სროლის მნიშვნელობა.

5) ჯარის სახეობა და მისი მნიშვნელობა.

6) ტაქტიკის განვითარება გასულ 1914—18 წ.წ. ომიდან—ღრმა და ხაზიანი ტაქტიკა.

7) ტერსისტემა საქართველოში.

8) წვევანდელების მომზადების მნიშვნელობა.

9) ქიმია მშვიდობიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო დარგში.

ნ. გამრეკლიძე.

# ტერ-შეკრებაზე

## მისალმების დეპეშა.

მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის და პოლიტგანის უფროსების სახელზე მოვიდა შემდეგი მისალმების დეპეშა:

**საერთო შეკრების პირველ დღეს მოწვეულ სახეიმო სხდომაზე მეხუთე ქართულ მსროლელთა ლეგიონის მთელი შემადგენლობა გესალმებათ თქვენ და ფიცს სდებს, როგორც ერთი მთელი შემადგენლობით ემსხვერპლოს მუშურ-გლეხურ მონაპოვარის დაცვას თქვენის ხელმძღვანელობით.**

პრეზიდიუმი.

## პრაქტიკაზე მოვლენილი კურსანტები ჩვენთან.

მე-6-ხე ტერ-ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ქართულ მეთაურთა გაერთიანებული სამხედრო სკოლიდან მოვლენილი იქნენ პრაქტიკული მეცადინეობისათვის უფროსი და უნცროსი კურსის კურსანტები რიცხვით 45 კაცამდე. აღნიშნული ამხანაგები ლეგიონში გამოცხადების პირველ დღისთანავე ჩაებენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ მეცადინეობაში. თავიანთი თხოვნის თანახმად ამხანაგები დანიშნულნი იქნენ ჯგუფების ხელმძღვანელებათ, რომლებიც ლეგიონის სხვა ახლად გამოშვებულ წითელ მეთაურებთან ერთად ატარებენ პოლიტ-საათს 1901 და 1902 წ. წ. დაბადებულ ცვალებადელებთან.

პოლიტ-საათის გარდა ისინი ყოველ თავისუფალ დროს აწყობენ საუბრებს სხვა და სხვა თემებზე. იმართება გაზეთების ხმამაღალი კითხვა და რაც მთავარია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ასეულებში სისუფთავისა და წეს-რიგის დაცვას, რაც აუცილებელია ჩვენთვის მით უმეტეს კარვობის პერიოდში.

ლეგიონში ყოფნის განმავლობაში, ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ისინი თავიანთი დაუღალავი და ენერგიული შრომით საკმაო პრაქტიკით და გამოცდილებით აღჭურვილი დაუბრუნდებიან თავიანთ სკოლას და გაამართლებენ იმ იმედს, რომელსაც მათზე ამყარებენ მათი მეთაურები.

სამხკორი საჭილაველი.

## ჩვენი საქმიანობა ტერ-არმიელებთან.

6-ხე ტერ-ლეგიონი.

5 სექტემბერს ჩვენი ლეგიონი უკვე შეივსო ტერ-არმიელებით. ლეგიონის მთელი შემადგენლობის მიზანია ამ ერთი თვის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მეტი განვითარება და გამოცდილებით აღჭურვონ ახლად მოსული ამხანაგები.

ამიტომ ლეგიონის შევსების დღიდანვე დავიწყეთ მათთან მუშაობა, რომელიც სწარმოებს სისტემატიურად. ჯერ პოლიტსაათები და შემდეგ სამხედრო მეცადინეობა.

პოლიტსაათი ტარდება ჯგუფჯგუფათ. თითეულ ჯგუფში შედის 25—30 ტერ-არმიელამდე.

ყველა ჯგუფებს ყავს გამოყოფილი ხელმძღვანელები. პოლიტხელების ხელმძღვანელობით წინდაწინ ტარდება ჯგუფის ხელმძღვანელებთან მეცადინეობა, სადაც წინასწარ მზადდება პოლიტსაათის თემები. ჯგუფების ხელმძღვანელებათ არიან ოცის თავები და ნაწილობრივ კადრის არმიელები. პოლიტსაათი ტარდება ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე. ეროვნულ უმცირესობათა მიხედვით. ათასეულის ფარგლებში კადრის არმიელები მეცადინეობენ ერთ ჯგუფათ-კომპლექსიური მეთოდით. საუცხოვო სანახავია როდესაც ასეულები სალაშქრო წესით გამოვლენ და მიემგზავრებიან ახლობელ გორაკებზე სამანევროთ, რითაც მეტად დაინტერესებულია ტერ-არმიელთა მასა.

საერთოთ საბანაკო ცხოვრების პერიოდში ყოველ გვარი მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. მოწყობილიც კარგათ ვართ, მხოლოთ ძლიერ გვაწუხებს უწყლობა.

ონკანები არის, მაგრამ დღისით წყალი არ მოდის.

იქვე არის მდინარე, რომლის ბინძური წყლით იკვებებიან არმიელები და ძლიერ შიშში ვართ, რომ არ გავრცელდეს ავადმყოფობა.

ლეგიონის მესვეურებმა მიიღეს ზომები წყლის საკითხის მოსაგვარებლათ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი სჩანს.

სამხკორი ე—ლი.

## სამხ. სკოლის კურსანტები მე-2-ე არტლეგიონში.

5 სექტემბერს სამხედრო სკოლის საარტილერიო ასეულის კურსანტები გადაგზავნილი იქნენ მეორე არტლეგიონში პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად.

მისვლისთანავე ჩვენმა მეთაურმა წაგვაყენა ხსენებული ლეგიონის მეთაურის წინაშე, რომელმაც დაწვრილებით გაგვაცნო თუ რა მიზანი აქვს ლეგიონში ჩვენს მივლინებას და რა შედეგებს მოგვიტანს ის ჩვენ.

ამასთანავე მან გაგვაცნო ჩვენი მოქმედების გეგმაც. ბოლოს ლეგიონის თავმა გაგვანაწილა სხვა და სხვა ბატარეიებში, სადაც ზოგიერთი იმ დღიდანვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

ლეგიონის წითელ-არმიელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა მისვლამ. ისინი დიდი ცნობის მოყვარეობით უთვალთვალებდენ ჩვენს მოქმედებას, თითეულ ჩვენს ნაბიჯს. განსაკუთრებით მას შემდეგ უფრო დაინტერესდენ ისინი ამით, როდესაც ლეგიონის მეთაურმა გააცნოთ ჩვენი იქ მისვლის მიზანი.

ჩვენ იმ თავიდანვე დაუახლოვდით არმიელებს და გავაჩაღეთ მათთან მუშაობა. უკვე ჩავატარეთ საუბრები შინაურ და საბანაკო ყოფა-ცხოვრებაზე.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს ენერგიულად შეუდგენ თავის საქმეს და ამით შევიტანოთ ჩვენი წვლილი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგების განმტკიცების საქმეში.

კურსანტი ა. დალაქიშვილი.

## მეტი ყურადღება წითელ არმიელების წერილებს.

პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენი ნაწილიდან ბევრი უარყოფითი მხარეების შესახებ იწერება გაზეთში, მაგრამ ამ ნაკლულევანებებს თავის დროზე არ ექცევა სათანადო ყურადღება უფროსებისაგან. ეს გარემოება კი ნაწილის გაუმჯობესებით დაინტერესებულ არმიელს უფუჭებს წერის ხასიათს და შემდეგ ის აღარ ზრუნავს გამოამჟღავნოს პრესის ფურცლებზე ნაწილის ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აუცილებლად საჭიროა ნაწილის მესვეურებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ წითელ არმიელების მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებებს თუ სურთ ნაწილის კეთილდღეობა.

წითელ არმიელი 6 ნუაკუთხელი.

# განაკიდან წითელ ყაზარმაში

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენი ნაწილის ბანაკიდან დაბრუნებისთანავე ამხ. ბიბგამგე შეუდგა ჩვენი სამკითხველო — ბიბლიოთეკის მოწყობას. ბიბლიოთეკაში ლამაზად მოეწყო ლენინის კუთხე, იქვე აწყვია ლიტერატურა ლენინზე.

კედლებიც მორთულია სხვა და სხვა კარგი პლაკატებით და ჩვენი ბელადების სურათებით. უნდა ითქვას, რომ ამხ. სამხკომი დიდ ყურადღებას აქცევს ბიბლიოთეკას და ხშირათ იძენს ისეთ წიგნებს, რომლებიც აუცილებელია წითელი-არმიელების კულტურულად განვითარებისათვის, წიგნები ბიბლიოთეკაშიდ ბლომად მოიპოვება და მკითხველებიც ბლომადა ჰყავს.

სამკითხველოს აქვს გამოწერილი აგრეთვე რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები.

სამხკორი კლდის ძირელი.

მუშაობაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ამხანაგები შეურყევლათ შეასრულებენ იმ დავალებებს, რომელიც მათ დააკისრა ხელისუფლებამ და პირნათლათ შეიტანენ თავიანთ სოფლებში იმ ცოდნას, რომელიც მათ შეიძინეს ყაზარმაში.

სამხკორი ფაშაკიძე.

## დისციპლინა განმტკიცდა, არც ცოდნით ჩამოუვარდებით სხვა ნაწილებს.

1-ლ ლეგ. ბატარეია.

ამ უკანასკნელ ხანებამდე ჩვენი ბატარეია ვერ იყო დაყენებული სათანადო ნიადაგზე. სამხედრო და პოლიტიკურ-კულტურულ მომზადებაში სისუსტეს რომ თავი დავანებოთ, ბატარეიაში არ იყო მტკიცე დისციპლინა. უკანასკნელად ახალი მეთაურისა და პოლიტხელის მოსვლამ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩააყენა. მეცადინეობა ყოველ დარგში ნორმალურად მიმდინარეობს. წინათ, თუ ბატარეიას ოთხი მომიზნეს მეტი არ ყავდა, ამჟამად თითქმის ყველა მომიზნეა ორიოდე არმიელის გამოკლებით.

ასეთი მაგალითებიც სხვაც ბევრია. ამხანაგური დისციპლინა სამხედრო საქმის შესწავლისა და სხვაში მომზადებისათვის გულმოდგინედ მეცადინეობა საუკეთესო თავდებია იმის, რომ ჩვენი ბატარეია სულ მოკლე დროში დადგება ქართული ჯარის საუკეთესო ნაწილების გვერდით.

სამხკორი ცეცხლი.

## გვემშვიდობებიან ჩვენი აღმზრდელები.

(1-ლი ლეგსკოლა).

რვა თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენს ლეგიონში დაარსდა უნცრ. მეთაურთა სკოლა. უნდა ითქვას რომ სკოლის მეთაურები დიდი ენერგიით ეკიდებოდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველგვარი მეცადინეობას, თუმცა დიდათ უშლიდა ხელს სამხედრო ქართული წესდებების უქონლობა, მაგრამ მეცადინეობა მაინც კარგი ტემპით მიმდინარეობს დღემდე.

მაგრამ აქ მარტო მეთაურები ვერაფერს გახდებოდენ რომ ამავე დროს ფხიზლად არ ყოფილიყვენ უნცრ. მეთაურები, ათის თავიდან დაწყებული მამასახლისამდე, რომლებიც უპირველეს როლს თამაშობდენ მომავალი უნცროსი მეთაურების აღზრდაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, ისინი ვეღარ რჩებიან ვინაიდგან ყველა მათგანი, ათის თავიდგან დაწყებული მამასახლისამდე. მიდიან უვადო შვებულებაში.

სკოლის ყველა მსმენელები დიდი გულ დაწყვეტილი არიან ამ გარემოებით, მაგრამ ერთი მაინც ვახარებს: დარწმუნებული ვართ ეს ამხანაგები ისეთივე ენერგიით განაგრძობენ სოფლად მუშაობას, როგორც მუშაობდენ ჩვენთან და ფართოდ გააცნობენ გლეხობას წითელი ჯარის, ტერსისტემის მნიშვნელობას.

სოფელი მათ არა ნაკლები სიხარულით ელოდება და იმედი გვაქვს ამას ისინი გაამართლებენ.

გაუმარჯოს მათ მუშაობას.

სამხკორი ივ ბარელაძე.

## სოფლად მუშაობისათვის ვემზადებით.

პირველი ლეგ. 4-ხე ასეული.

ხსენებული ლეგიონის მე-4-ასეულის 33 წ. არმიელს უწევთ შვებულებაში წასვლა. ამის გამო ისინი ძლიერ მონდომებული არიან, რომ შეისწავლონ ყველაფერი სოფლად მუშაობის გასაჩაღებლად.

ყველა ეს ამხანაგები სისტემატიურათ კითხულობენ წიგნებს და სხვა და სხვა გაზეთებს. ზოგი მათგანი ეწერება საკოოპერაციო კურსებზე, ზოგი საბიბლიოთეკო — სამილიციო და სხვა. ერთი სიტყვით მათი მონდომება დიდია.

ყველაფერ განვლილს—იმეორებენ.

ზოგიერთი ამხანაგები ყიდულობენ სხვა და სხვა წიგნებს, რომელიც მათ გამოადგებათ სოფლად. ყველა ამხანაგები აქედანვე ერკვევიან სასოფლო

## მოგვიფყვეთ სასადილო.

პირველი საკავშირო ასეული.

რაც ბანაკიდან ჩამოვედით, მოსვენებულათ სადილის ჭამა არ გვღირსებია, ვინაიდან ჩვენი ყოფილი სასადილო ისევ შეუკეთებელი და დაუსუფთავებელია, რის გამო სადილის ჭამა ეზოში გვიხდება.

ნუ თუ არ შეიძლებოდა კედლების შეკეთება და შელესვა მაშინ როდესაც ყაზარმები შეაკეთეს? მოუთმენლად ველით სასადილოს შეკეთებას.

ამასთანავე ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ არ მიგვიღია თივა მატრაცებისთვის, ვიძინებთ შიშველ ფიცარზე.

სამხკორი ჭინკა.

## სამხედრო პროკურორის საყურადღებოთ.

წ. წლის დამლევს, იმ დროს ქ. ქუთაისში მდგომ მე-2-ე დივიზიის საარტლეგიონში ადგილ ჰქონდა შემდეგ მოვლენას.

სამართველოს გადამწერ ალექსანდრე ტყეშელაშვილმა მიითვისა წითელ არმიელების სახლიდან გამოგზავნილი ფული.

მან ეს მოახერხა იმიტომ, რომ მას ჰქონდა მინდობილი მიეღო ფოსტიდან წითელ არმიელების სახელზე მოსული წერილები და სხვათა შორის უწყებებიც. ტყეშელაშვილი როგორღაც (არ მახსოვს როგორ) ახერხებდა ამ უწყებებით ფულის მიღებას და არხეინად სჭამდა, რომელსაც ალბად დიდი წვალებით აგროვებდენ წ. არმიელების მშობლები თავისი შვილებისათვის.

ამ საქმის შესახებ კვლევა-ძიება და მასალები გადაეგზავნა სამხედრო ტრიბუნალის ქუთაისის უბნის გამომძიებელს.

თუმცა ბოროტმოქმედების ფაქტის დასამტკიცებლი მასალა საქმეში საკმარისი იყო, ეს საქმე ჯერაც არ გარჩეულა.

რასაკვირველია ეს უკმაყოფილებას იწვევს წითელ არმიელთა შორის. მაგალითად ზოგი არა ქართველი წითელ არმიელი იძახის, რომ „ტყეშელაშვილს აპატიეს იმიტომ, რომ ის ქართველია“ და სხვა.

არ ვიცი რას უნდა მიეწეროს საქმის ასეთი გადადება. ის კი ვიცი, რომ მალე მოხდება წითელ არმიელთა გრძელ-ვადიან შვებულებაში გაშვება და სხვათა შორის გაშვებული იქნება ჩვენი ტყეშელაშვილიც.

სრულებით დამოუკიდებლად იმისა, რამდენათ დაზარალდენ მატერიალურათ წითელ არმიელები, რომლების ფულებიც მიირთვა ტყეშელაშვილმა, უნდა ითქვას ის, რომ ადამიანი, რომელიც ასე საზიზღრად ექცევა თავის ამხანაგებს—წითელ არმიელებს, სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

„მე“.

# პარტიული ცხოვრება.

## 1-ლი ცალკე მესანგრე ასეული.

11 სექტემბერს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო ბევრი უპარტიო ამხანაგებიც; კომუჯრედზე მომაგრებულ ამხანაგებიდან კრებას დაესწრენ პოლიგრაფიულ განყოფილებისა და სამხედრო პოლიტიკური სკოლის უჯრედიდან.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

კომუჯრედში წით. არმიელთა მიერ შემოტანილ განცხადებების განხილვა, რომლებიც თხოულობდენ კომპარტიის წევრებად გადარიცხვას.

1903 წელში დაბადებულ წ. არმიელთა დახვედრა ყაზარმაში, და მიმდინარე საკითხები.

კომ. პარტიის კანდიდატების—წევრებად გადარიცხვის გარშემო სამხკომ ჯავახოვმა მიმართა კრებას, თუ რა მოვალეობა აწევს თავზე ყოველ პარტიოსან მშრომელ მუშასა და გლეხს და მით უმეტეს კომუჯრედის წევრს.

შემოტანილი იყო სამი განცხადება.

სათანადო საბუთების გადასინჯვის შემდეგ კრებამ დააკმაყოფილა ამხანაგების თხოვნა და გადარიცხული იქნენ პარტიის წევრებად.

მეორე საკითხის ირგვლივ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა იმავე ჯავახოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოკლე ხანში ჩვენ წითელ ყაზარმებს ესტუმრებიან ახალი წვეულები და გამოსთქვა თავისი აზრი თუ როგორ უნდა შევხვდეთ მათ. ამხანაგმა მოგვიწოდა ძველ წითელ არმიელებს, რომ ყოველმხრივად მივიღოთ ზომები მათთან კარგ დამოკიდებულების დასამყარებლად, რომ ისე იგრძნონ თავი როგორც საკუთარ სახლში.

მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია წ. არმიელების და მომაგრებულ ამხანაგების შემადგენლობიდან, რომელთაც დაევალათ აგიტ-პროპაგანდა ახალწვეულთა შორის.

მიმდინარე საკითხებში ამხანაგებმა მიუთითეს ამა თუ იმ ნაკლულოვანებაზე და განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო ნაწილში სხვა და სხვა წრეების სისუსტემ, რის გამო დადგენილი იქნა მომავალში მოხდეს მათი გადახალისება და შესაფერ დონეზე დაყენება.

სამხკორი ლ. გორგაძე.

# ვითომ გაუგებრობა იყო?

1-ლ საარტილერიო ლეგიონის არტსკოლაში, მეორე ლეგიონიდან მოვლენილი ვიყავით 9 წ. არმიელი.

კუთვნილი ტანისამოსი ყველას უნდა მიგვეღო მეორე ლეგიონიდანვე, რომელმაც გამოგვიგზავნა პირველი ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსის ხელით.

ხსენებულმა მნემ ჯერ ერთი ძლივს გაგვიხსენა და შემდეგ სრულიად არ გამოდგვიგზავნა ხვედრი ტანსაცმელი. ცხრა ხალათი, რომელიც ჩვენთვის უნდა მოეცა, არ მიგვიღია. ამას გარდა პირსახოცები გამოცვლილი, ძველი—ნახმარი მივიღეთ.

სამი თვის განმავლობაში ვეძებდი მოვლენილი არმიელები ხალათებს და როგორც იქნა მივაგენით.

ხალათები პირველ ლეგიონის მნესთან მოვნახეთ. როდესაც მივმართეთ, მოეცა ჩვენთვის ხალათები, გვიპასუხა გამოვირკვევთ და შემდეგ მობრძანდითო.

ჯერ ერთი არ ვიცით რა საჭირო იყო შემდეგ მიბრძანება, როდესაც ყველა დამამტკიცებელი და საჭირო საბუთები მოტანილი გვქონდა და შემდეგ რა მიზეზები იყო, რომ ჩვენი ხალათები სამი თვის განმავლობაში იქ ეწყო?

ჩვენც ვიტყვით საჭიროა ამ საქმის გამორკვევა მართლა გაუგებრობით მოხდა ის თუ არა?

სამხკორი ბაშელი.

# რადიო კუთხე.

**შესაძლებელია თუ არა რადიო ტალღების გავრცელება უჰაერო სივრცეში.**

ელექტრო-ანდამატური ტალღა—რადიო ტალღა, ვრცელდება არა ჰაერში, როგორც მაგალითად ბგერითი ტალღები, არამედ ეგრედ წოდებულ ეფირში.

თანამედროვე მეცნიერების წარმოდგენით ეფირი ეს ისეთი რამ არის, რომ ის ავსებს ყველაფერს, ის ყველგან იმყოფება და ამასთანავე უჰაერო სივრცეშიც.

მოლეკულები და ატომები (ნივთიერების უმცირესი ნაწილაკებია) ამრუდებენ რადიო ტალღების მიმართულებას; ისინი აიძულებენ მათ გადაიხარონ გვერდზე საგრძნობლად და ხშირად კიდევაც აირეკნებიან ისე, როგორც მაგალითად სარკიდან აირეკნება ხოლმე სინათლის სხივი. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ეს ატომები და მოლეკულები დატენილი არიან ელექტრობით, რაც ხშირად და თითქმის ყოველთვის ახასიათებს ატმოსფერის ზედა ფენებს. (150—200 კილომეტრის სიმაღლეზე).

ატმოსფერის ამ ფენებს ეწოდებათ ხევსაიდის ფენები. ეს იმ მეცნიერის სახელია, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა ატმოსფერის ზედა ფენების ასეთი თვისება.

რაც უფრო მოკლე იქნება რადიო ტალღა, მით უფრო ადვილად გადის ხევსაიდის ფენებში. ამას ამტკიცებს მზის სხივების მაგალითი, რომლებიც ადვილად გადიან მასში და აღწევენ დედამიწის ზედა პირს, ხოლო სინათლე იგივე ელექტრო-ანდამატური ტალღაა, მხოლოდ უფრო მოკლე. მათი სიგრძე უდრის მილიმეტრის 4-8 მეათიათასედს.

სწორედ ამიტომ, ფიქრობენ, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს შესძლებს ისეთი მოკლე რადიო ტალღების მიღებას, რომლებსაც შეეძლებათ ხევსაიდის ფენებში გავლა და ამნაირად დაუკავშირდეს, რადიოს საშვალებით სხვა პლანეტების მცხოვრებლებს (თუ კი ასეთები არსებობენ).

# სასოფლო მეურნეობა

**ძროხის ხნოვანების გავლენა მეწველობაზე.**

პირველი ხბოს მოგების შემდეგ ძროხა შედარებით ცოტა რძეს იძლევა. შემდეგი ხბოების მოგებისას მისი მეწველობა მატულობს. ყველაზე მეტ რძეს ძროხა მე 5—6 ხბოს მოგების შემდეგ იძლევა. აქედან მოყოლებული კი მისი მეწველობა თანდათანობით კლებულობს.

მე 9—10 ხბოს მოგების შემდეგ, ესე იგი როცა ძროხა 13—14 წლის იქნება, იგი ისე ცოტა რძეს იძლევა, რომ სრულებით აღარ არის ხელსაყრელი მისი შენახვა. საკვები მას იმდენივე სჭირდება რაც ახალგაზრდა ძროხას, რძეს კი ცოტას მეტს აღარ იძლევა. ამიტომ უმჯობესია ასეთი ძროხა სახორცედ გაიყიდოს და მის მაგიერ ოჯახისათვის ახალი ძროხა იქნეს ნაყიდი ან შინ გამოზრდილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო სუსტი და ცუდი მეწველია ძროხა, მით უფრო მალე ბერდება იგი და მით უფრო ადრე იკლებს მეწველობას. კარგი ჯიშის ძროხა კი უფრო მეტი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს კარგი მეწველობის უნარს. რასაკვირველია ასეთი ძროხის ხელიდან გაშვება და გაყიდვა არ არის ხელსაყრელი. ამიტომ წინასწარ უნდა გამოირკვეს, მართლა შესამჩნევად უკლო თუ არა ძროხამ წველას და თუ აღმოჩნდება, რომ მოცემული რძე ვერ ანაზღაურებს ძროხის კვებაზე და მოვლაზე გაწეულ ხარჯებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იქნას იგი დაწუნებული.

ძროხის ხნოვანებას გავლენა აქვს თვით რძეზეც. ახალგაზრდა ძროხის რძე, 1—2 ხბოს მოგების შემდეგ, უფრო წყლიანია, ვიდრე მე 5—6 ხბოს მოგების შემდეგ. უფრო წყლიანია აგრეთვე ბებერი ძროხების რძეც. გარდა ამისა ხანში შესულ ძროხის რძეს მომწარო და მლაშე გემო ეძლევა, რის გამოც ბებერი ძროხების რძეს ცუდი გემო აქვს.

მუხ—ლი.

## ხელისუფლების მოღვაწეობა.

— **ამიერკავკასიის სახკომსაბჭომ** დაადგინა სთხოვოს ა. კ. ცაკს მისცეს გორის მცხოვრებლებს შეღავათები გადასახადების გადახდაში.

— **საკავშირო ცაკთან** არსებულ მცხოვრებთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლების კომიტეტში ა. კ. სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. მესხიშვილი.

— **მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.** ა. კ. სახ. კომსაბჭომ დაადგინა გადასდოს კომუნალურ წარმოებათა მოგებიდან ნაწილი მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**საქ. უმ. ეკ. საბჭოში.**

— **საქ. უმ. ეკ. საბჭომ** დაადგინა გაადიდოს კომუნალური ბანკის ძირითადი თანხა 2 მილიონ მანეთამდე.

— **გეოლოგიურ გამოკვლევათათვის** საქ. ფინსახკომის რწმუნებულს დაევალა გამონახოს 6 ათასი მანეთი საქართველოში გეოლოგიურ გამოკვლევათათვის.

— **სართავ-სახვევი ქარხანა.** ოზურგეთში სახვევ-სართავი ქარხნის ასაშენებლად გადადებულ იქნა 90.557 მანეთი.

# ამბები სოფლებიდან

**აბანოს აგება.**

სამხ. ოსეთის ჯანსახკომი შეუდგა სოფ. ნაგუთნში (ჯავის ხეობა) მინერალურ წყლებზე აბანოს აგებას.

**სკოლის აგება.**

სოფ. ყულისკარში (ზუგდ. მაზრა) შეუდგნენ 7 წლედი სკოლის შენობის აგებას.

**ბაზრობის დაწესება.**

სოფ. აბასთუმანში (სამეგრელოშია) ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა დააწესა საბაზრო დღეები.

**გზის გაყვანა.**

სოფ. კაცხიდან (შორაპნის მაზრა) გლეხებმა გაიყვანეს გზა 7 ვერსის მანძილზე.

სამუშაო იარაღებით დახმარება გაუწია გლეხებს სამაზრო გლეხკომმა.

**სამოსახლოთ.**

სოფ. თედო-წმინდაში (გორის მაზრა) მიწათმოწყობის ჩატარების შემდეგ ზედმეტი მიწის ნაკვეთი 216 დესეტ. 540 კვ. საჟ. სივრცით გამოყოფილ იქნა, უმიწა-წყლო ადგილებიდან გლეხების ჩამოსასახლებლათ.

**ზუგდიდის გამშვენიერება.**

ზუგდიდის აღმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს ქალაქის გამშვენიერებას. ამ მიზნით ქალაქის ქუჩებში გაყვანილ იქნება სინათლე და გამშვენიერებულ იქნება ქალაქის ბაღი.

**საექიმო პუნქტის გახსნა.**

სოფ. ახუთში, ზუგდიდის აღმასკომი ხსნის საექიმო პუნქტს.

# ახალი ამბები.

— **წყალში დახრჩობასთან მებრძოლი პუნქტის გახსნა** მოხდება დღეს, ვერის ბორნთან დღის 12 საათზე.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** წყნეთის ქუჩაზე ახლო ხანში შეუდგებიან ტრამვაის მეორე ხაზის გაყვანას.

— **ჩაის მიღება.** ამ.-კ. სახელმ. ვაჭრობის კომისარიატმა ინგლისიდან მიიღო 1249 კილოგრამი ჩაი 25 ათ. მან. ღირებულების.

— **კრასკების მიღება.** გერმანიიდან ა. კ. სახ. ვაჭრ. კომისარიატმა მიიღო 20 ათასი მანეთის სამხატვრო კრასკები.

— **ტროპიკულ მცენარეების მოსაშენებლად** საქართველოს სას. სამ. ბანკი გასცემს სესხად მომავალ წელში 10 ათას მანეთს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**პლანეტები და მათზე სიცოცხლის არსებობის საკითხი.**

შესაძლებელია თუ არა პლანეტებზე არსებობდეს სიცოცხლე, აი ის საკითხი, რომელიც არ ასვენებს ადამიანს. ერთ დროს და ეხლაც, ბევრს ჰგონია, რომ პლანეტა მარსზე არის ისეთი ხელშემწყობი პირობები, რომლებიც აუცილებლად ჰგულისხმობს სიცოცხლის არსებობას. ბევრი ასეთი შეხედულების იყო მთვარეზედაც. ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი მეცნიერები რადიკალურად უარყოფენ ამ შეხედულებას და სიცოცხლის არსებობას მიაწერენ სხვა პლანეტებს. ასეთ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის პროფესორი არენიუსი, რომელიც დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამ საკითხზე, სტოკჰოლმის ასტრონომიულ საზოგადოებაში.

საკითხზე, შესაძლებელია თუ არა სხვა პლანეტებზე ორგანიული სიცოცხლის არსებობა, პროფესორმა უპასუხა, რომ შესაძლებელიაო, და ასეთად აღიარა პლანეტა ვენერა. ამ პლანეტაზე არსებობენ ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიული ცხოვრების განვითარებას—სახელდობრ პლანეტაზე იმყოფება წყალი და ტემპერატურა 0° და 60°—70° სითბომდე. სხვა პლანეტებზე არ არის ასეთი პირობები. მაგალითად ავიღოთ მერკური. მისი ერთი გვერდი, როგორც ჩვენი მთვარის, მუდმივად მიპყრობილია მზისაკენ და ხურდება 300.°მდე, იმ დროს, როდესაც მეორე მხარი სულ სიბნელით არის მოცული და მისი ტემპერატურა მუდმივად არის 200° სიცივე. თუ ოდესმე ამ პლანეტაზე ყოფილა წყალი ის უნდა დამშრალიყო მზისაკენ მიპყრობილ მხარეზე და უნდა გაყინულიყო ბნელით მოცულ მხარეზე.

პლანეტა ვენერა კი ხასიათდება საშვალო 40° ტემპერატურით და ატმოსფერით, რომლის გამორკვევა ადვილად შეიძლება ამ პლანეტის გადაფარების დროს მზეზე.

ვენერის საშვალო ტემპერატურა საგრძნობლად აღემატება იმას, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ცხოველთა ქვეყნის განვითარებას; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ—ვენერაზე, არ ცხოვრობენ ცოცხალი არსებანი, რომლებიც სულ სხვაგვარი შეხედულებისა და ხასიათის იქნებიან პლანეტის ჰავასთან მიხედვით.

ამ ჟამად ვენერა იმ განვითარების პერიოდში იმყოფება, რომელიც ჩვენმა დედამიწამ გაიარა მრავალი მილიონი წლების წინად—ე. ი. ქვანახშირის შექმნის პერიოდში.

მარსის ტემპერატურა ეკვატორზე უდრის 40 გრადუსს, იმ დროს, როდესაც დედამიწის საშვალო ტემპერატურა უდრის 16°.

სხვა ჩვენთვის ცნობილი პლანეტები კი საკმაო ცივი ტემპერატურით ხასიათდებიან და ამიტომ იმაზე ლაპარაკი და ფიქრი, რომ იქ შესაძლებელი იქნება ცხოვრება—ზედმეტი და უსაფუძვლოა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

2-რე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კოლუაშვილი ივანეს და 2) ყრუაშვილი დიომინეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველა ამხანაგებს თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ მიმართ ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი ლეჟავა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.